



ბრძანება N 161

„04“ 07 2016 წელი

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მასწავლებლის შეფასების შედეგებისა და მასწავლებლისთვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ წინადადების ელექტრონულ სისტემაში განთავსების ვადების განსაზღვრის შესახებ“ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 14 ივნისის N135 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე და 63-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაფუძნების, მისი დებულების დამტკიცებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 20 ივლისის №714 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის №163/6 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N72 დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის შეფასების წესის“ მე-15 მუხლის საფუძველზე და ცენტრის უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახურის უფროსის 2016 წლის 4 ივლისის N819003 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მასწავლებლის შეფასების შედეგებისა და მასწავლებლისთვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ წინადადების ელექტრონულ სისტემაში განთავსების ვადების განსაზღვრის შესახებ“ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 14 ივნისის N135 ბრძანებაში პირველ პუნქტში, კერძოდ: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს მასწავლებლის შეფასების შედეგებისა და მასწავლებლისთვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ წინადადების ელექტრონულ სისტემაში განთავსება 2016 წლის 12 სექტემბრის ჩათვლით.
2. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა/საჯაროდ გამოცხადების უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეადგენს ცენტრის დირექტორის 2016 წლის 14 ივნისის N135 ბრძანების ნაწილს და განიხილება მასთან ერთად.

4. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა.
5. ბრძანება ძალაში შედის დაინტერესებული პირებისათვის გაცნობისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირებისათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6. 0131).

გიორგი მაჩაბელი

დირექტორი



მანანა რატიანი

დირექტორის მოადგილე

მ. რატიანი

დავით ბურჭულაძე

ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

დავით ბურჭულაძე

ეკატერინე შარაშენიძე

უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახურის უფროსი

ე. შარაშენიძე

პაპუნა მაჩაიძე

იურისტი

პ. მაჩაიძე